საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიდვაჭარი

დიდვაჭარი, ვაჭართა დაწინაურებული ფენის წარმომადგენელი განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საქართველოში; პირადად თავისუფალი, დიდი ქონების პატრონი ვაჭარი, რ-იც უმთავრესად სხვა ქვეყნებთან საქარავნო ვაჭრობას ეწეოდა. დ. აზნაურის პატივით სარგებლობდა. ბექა-აღბუღას სამართლით, მისი სისხლი 12 ათ. თეთრი ღირდა, ე. ი. მე-3 ხარისხის აზნაურის სისხლის ტოლფასი იყო. დ. სახელმწ. საქმეებშიც მონაწილეობდა. მეფე მას დესპანად გზავნიდა უცხო ქვეყნებში, აძლევდა *პოლიტ.* და დიპლ. დავალებებს, იმსახურებდა როგორც ინფორმატორს, მისი წრიდან ნიშნავდა ბჭეს (მოსამართლეს). დ. მოვალე იყო მეფისათვის ძღვენი მიერთმია. დ. იყო თბილ. მკვიდრი ზანქან (ზანქელ) ზორაბაბელი, რ-საც დარბაზმა თამარ მეფისათვის საქმროს ჩამოყვანა დაავალა. XVII–XVIII სს-ში დ. „დიდებულ ვაჭრად" იწოდებოდა. ვახტანგის სამართლის მიხედვით, ვაჭრები 4 ჯგუფად იყოფოდნენ, ამათგან პირველი ჯგუფის წარმომადგენლები – დიდებული ვაჭრები – II ხარისხის აზნაურს უტოლდებოდნენ და მათი სისხლი 96 თუმანი ღირდა. XIX ს. დასაწყისისათვის დიდებული ვაჭარი – პირველხარისხოვანი მოქალაქე – ცდილობდა „აზნაურული" უფლებების შენარჩუნებას. 60-იანი წლებიდან ბურჟ. რეფორმების გატარების შემდეგ, დიდებული ვაჭარი შეცვალა I გილდიის ვაჭარმა, რ-საც აღარ აინტერესებდა წოდებრივი პრივილეგიები. იგი ბურჟ. კლასის წარმომადგენელი იყო და, ეკონ. შეძლებიდან გამომდინარე, გარკვეული უფლებებით სარგებლობდა – აარსებდა საკრედიტო და სამრეწვ. დაწესებულებებს, აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის თვითმმართველობაში.

მ. ბერძნიშვილი